საქართველოს პარლამენტი

2024 წლის მარტის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
აპრილი

2024 წლის მარტის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

9.5%

თებერვალი*

2024 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **0.5%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **2.3%**-ით განისაზღვრა.

იანვარ - თებერვალში* საქონლის ექსპორტი **12.2%**-ით, ხოლო იმპორტი **1.6%**-ით შემცირდა.



თებერვალში* ფულადმა გზავნილებმა **272.3** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **38.8%;**
რუსეთი - **22.8%;**
აშშ - **15.1%;**

თებერვალში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტებზე და სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირდა.

მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **1.0%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **1.5%**-ით გაუფასურდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის თებერვალში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 9.5%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის თებერვალში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 9.5% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა დამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, აგრეთვე ტრანსპორტის და დასაწყობების დარგებმა, ხოლო კლება დაფიქსირდა ენერგეტიკის და სამთომოპოვებითი მრეწველობის დარგებში.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის თებერვალში* 11,402.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11.8%-ით აღემატება.

<u>2024 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.5% შეადგინა.</u>

მარტში, წინა წლის მარტთან მიმართებით, ინფლაციის დონე 0.5%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. მარტში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.3%-ით განისაზღვრა. 2024 წლის თებერვალში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 1.9% შეადგინა.









<u>2024 წლის თებერვალში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

თებერვალში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 17.2%-ით, ხოლო ხარჯები 17.8%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 147.8 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 261.0 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის თებერვალში* საგადასახადო შემოსავლებმა 1,707.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17.7%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზრდა ქონების გადასახადი (107.5%), აქციზი (29.3%) და დღგ (21.5%). ამავე პერიოდში 29.9%-ით შემცირდა მოგების გადასახადი. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 50.1%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 49.9% შეადგინა. თებერვალში*, წინა წლის შესაბამის მაჩვენებლთან შედარებით, არაფინანსური აქტივების დადებითი 34.2%-იანი ზრდა (107.2 მილიონი ლარით მეტი), ხოლო ფინანსური აქტივების 246.2%-იანი კლება (68.2 მილიონი ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.



<u>2024 წლის თებერვალში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

თებერვალში*, წინა წლის თებერვალთან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 16.0%-ით მოიმატა და 50.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 18.0%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 13.5%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 0.38 პპ-ით შემცირდა და 44.2% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (54.2%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.9% ფიზიკურ პირებზე მოდის, 14.1% კი ინდმეწარმეებზე). გაცემული სესხების 36.0% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 64.3% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი სესხი - 21.3% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.2% - მშენებლობის, 18.7% - მრეწველობის, 12.9% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.6% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-თებერვალში*, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, შემცირდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.</u>

კერძოდ, ექსპორტმა 12.2%-ით, ხოლო იმპორტმა 1.6%-ით დაიკლო, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 4.8%-ით შემცირდა და 2,950.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 27.2%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (180%), უზბეკეთში (83%), უკრაინასა (39%) და ყაზახეთში (9%). ექსპორტი შემცირდა ბულგარეთში (89%), ჩინეთში (57%), სომხეთში (41%), რუსეთში (25%), აზერბაიჯანში (11%) და თურქეთში (2%).

იანვარ - თებერვალში* საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი მეტალების (170%), მედიკამენტების (100%), სპირტიანი სასმელების (45%), მინარალური წყლების შაქრის გარეშე (43%), ნატურალური ღვინის (38%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობისა (41%) და ოქროს (14%) საზღვარგარეთ გატანა.



2024 წლის იანვარ - თებერვალში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი, 73.6% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 18.9% - საზღვაო, 4.6% - საჰაერო, 2.9% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 0.1% შეადგინა.



იანვარ - თებერვალში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით, იმპორტის უდიდესი ნაწილი 49.5% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 30.8% - საზღვაო, 7.7% - საჰაერო, 6.2% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 5.8% შეადგინა.



იანვარ - თებერვალში* საქართველოს ადგილობრივმა ექსპორტმა 497.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 25.1%-ით ჩამორჩება. იანვარ -თებერვლის* თვეში ათი უმსხვილესი ქვეყანა სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა იყო: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21.5%), თურქეთი (14.4%), ჩინეთი (11.7%), სომხეთი (5.2%), აზერბაიჯანი (4.6%), უკრაინა (4.4%), შვეიცარია (3.6%), რუმინეთი (2.5%), გერმანია (2.4%) და ეგვიპტე (2.3%).





2024 წლის თებერვალში* ფულადი გზავნილები შემცირდა.

თებერვალში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილები 26.9%-ით შემცირდა და 272.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 38.8%) და რუსეთი (22.8%) წარმოადგენდნენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მოიმატა: იტალიიდან (13.1%, 44 მლნ აშშ დოლარი), აშშ-დან (35.3%, 41.2 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (24.5%, 20.4 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (9.3%, 19 მლნ აშშ დოლარი), გერმანიიდან (23.4%, 18 მლნ აშშ დოლარი) და სხვა. ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: რუსეთიდან (66.8%, 62 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (17.8%, 10.6 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (11.7%, 7.7 მლნ აშშ დოლარი), გაერთიანებული სამეფოდან (11%, 3 მლნ აშშ დოლარი), სომხეთიდან (30.4%, 0.9 მლნ აშშ დოლარი) და სხვა.



2024 წლის მარტში საერთაშორისო რეზერვებმა 4,777 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მარტში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,777 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 4.5%-ით ნაკლებია, წინა თვესთან მიმართებით კი 0.6%-ით მეტი.

2024 წლის მარტში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული .

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2024 წლის თებერვალში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა შემცირდა.

თებერვალში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა 3.4%-ით შემცირდა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 16.7%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 18.6%-ით შემცირდა.

ფულის M2 აგრეგატმა 29.6%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 17.4%-ს გაუტოლდა. 2024 წლის მარტში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.5% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
%-ლი ცვლილება



2024 წლის მარტის ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 8,482.4 მილიონი ლარი შეადგინა. მათ შორის, 62.7% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 23.4% ეროვნული ბანკის, ხოლო 14.0% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 10.7%, არა რეზიდენტი - 3.3%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(მარტი)



2024 წლის თებერვალში*, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 51,892.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.7%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 49.0% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა - 51.0%.

2024 წლის თებერვლის თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 62.3% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.7% ფიზიკურ პირებს ეკუთნის.

ანალოგიურ პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.0% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 34.0% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(თებერვალი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 46.2% ვადიანი დეპოზიტებია, 27.1% მიმდინარე ანგარიშები, ხოლო 26.6% მოთხოვნამდე დეპოზიტები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში ყველაზე დიდი წილი კვლავ ვადიან დეპოზიტებს უკავია (38.0%), შემდეგ მოდის მოთხოვნამდე დეპოზიტები (33.3%) და მიმდინარე ანგარიშები (28.7%).



<u>2024 წლის თებერვალში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.</u>

თებერვალში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.37 პპ-ით შემცირდა და 46.6%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.38 პპ-ით მოიკლო და 44.2% შეადგინა.

თებერვლის თვეში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.4%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 0.1%-ით დაიკლო.



2024 წლის თებერვალში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 9,961.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 26.7%-ით აღემატება. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 97.2%-ია, ხოლო მოკლევადიანის მხოლოდ 2.8%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 34,177.7 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20.5%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 48.2%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 51.8%.



თებერვლის* ბოლოს არსებული მონაცემებებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების 62.2% გაცემულია თბილისში, 8.0% იმერეთში, 7.5% აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.7% კახეთში, 4.7% ქვემო ქართლში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის თებერვალში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.6 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.5 პპ-ით შემცირდა.

თებერვალში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.4% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.5%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) თებერვლის* მდგომარეობით 5.9% შეადგინა, 0.61 პპ-ით ნაკლები წინა წლის თებერვალთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 0.75 პპ-ით შემცირდა და 8.25% შეადგინა.





2024 წლის მარტში, წინა თვესთან მიმართებით, ლარი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ გაუფასურდა.

მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.0%-ით, ხოლო ევროს მიმართ 1.5%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 2.9%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.5%-ით და ევროს მიმართ 5.1%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 62.5%-ით გამყარდა.

მარტის თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.68, ევროსთან მიმართებთ 2.91, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2023 წლის IV კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2023 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,045 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 15.3%-ით (271 ლარით მეტი), ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით - 10.2%-ით მეტია (189 ლარით მეტი).

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2023 წლის IV კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში 4,309 ლარის ოდენობით (17.3% წლიური ზრდა), აგრეთვე საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებსა (3,110 ლარის ოდენობით, 14.1% წლიური ზრდა) და მშენებლობის დარგებში (3,063 ლარის ოდენობით, 20.8% წლიური ზრდა).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით
(ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე
(მლნ ლარი)



2024 წლის თებერვლის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც ჯანდაცვაზე, ასევე განათლებაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.

თებერვალში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 169.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 18.5%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 186.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 41.3%-ით მეტი.

4. რეგიონული მიმოხილვა

2024 წლის მარტში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება. კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 68.5% შეადგინა, ხოლო სომხეთში დეფლაცია (-1.2%) დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის თებერვლის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 1.3%-ით, ხოლო რუსეთში 7.7%-ით გაიზარდა.





2024 წლის მარტის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.
კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მარტში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი (3.5%-ით), თურქული ლირა (40.6%-ით), რუსული რუბლი (17.0%-ით), სომხური დრამი (3.1%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით) გაუფასურდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	მარ 23	აპრ 23	მაი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.3	7.5	7.0	7.7	5.5	5.8	5.1	6.2	5.9	8.3	5.8	9.5	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	9.2	6.1	5.2	6.1	2.9	4.2	3.0	6.0	2.6	4.6	1.4	11.8	
ინფლაცია (%)	5.3	2.7	1.5	0.6	0.3	0.9	0.7	0.8	0.1	0.4	0.0	0.3	0.5
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	11.0	10.5	10.5	10.5	10.25	10.00	10.00	10.00	9.50	9.00	9.00	8.25
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.4	0.4	0.4	0.5	0.5	0.4	0.4	0.5	0.5	0.5	0.4	0.4	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.6	2.5	2.5	2.6	2.6	2.6	2.6	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	438,392.2	369,709.2	384,885.8	353,170.7	301,068.1	287,005.6	283,878.0	283,006.1	292,732.9	308,285.9	263,169.2	272,327.7	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	546.7	500.5	541.4	550.2	526.8	493.2	526.0	494.9	482.0	514.2	338.6	464.7	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,378.7	1,223.9	1,329.3	1,341.5	1,322.9	1,409.9	1,379.8	1,356.9	1,292.3	1,353.2	1,031.6	1,115.3	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-832.0	-723.4	-788.0	-791.4	-796.1	-916.7	-853.8	-862.0	-810.2	-839.0	-693.0	-650.6	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,003.8	5,133.4	5,005.3	5,066.7	5,436.1	5,436.8	5,273.2	5,118.8	5,121.7	5,003.0	4,853.2	4,746.3	4,776.9
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,656.6	2,165.0	1,755.9	1,877.8	1,846.9	1,721.5	1,821.2	1,913.4	1,830.8	2,122.0	2,116.3	1,823.3	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,450.0	1,496.7	1,568.9	1,441.2	1,901.2	1,269.0	1,496.1	1,626.2	1,580.7	1,947.1	1,715.7	1,675.5	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	317.4	414.1	400.6	495.8	365.4	659.1	616.0	468.6	544.5	1,109.4	402.3	420.3	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი